ლანდშაფტების ესთეტიკა, დიზაინი და პროექტირება, როგორც ლანდშაფტების არქიტექტურის შემადგენელი და მათი სწავლების ზოგიეთი საკითხი

<u>რობერტ მაღლაკელიძე</u>, გიორგი მაღლაკელიძე

ელ-ფოსტა: robert.maghlakelidze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

უკანასკნელ ხანებში საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარება. ლანდშაფ-ტურ-ეკოლოგიური კვლევა პროფ. ნ. ელიზბარაშვილის აზრით რამდენიმე ურთიერთდაკავშირე-ბულ ეტაპად უნდა განხორციელდეს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: ლანდშაფტურ-ეკოლო-გიური (ზოგადგეოგრაფიული, ლანდშაფტური, სოციალ-ეკონომიკური, ეკოლოგიური) ანალიზი ანუ ინვენტარიზაცია და სინთეზი ანუ შეფასება. გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ანალიზი და სინთეზი გეოგრაფიული პროგნოზირების, ლანდშაფტთა თანამედროვე მდგომა-რეობის, მათზე ზემოქმედების ფორმების და მასშტაბების, მდგრადობის, ასევე მისი პოტენცია-ლის შეფასების საშუალებას იძლევა. რეალური და მრავალფეროვანი ურთიერთკავშირის შესწავ-ლა, რომელიც არსებობს ბუნებას, მეურნეობას და მოსახლეობას შორის გვირგვინდება ლანდშაფ-ტთა ფუნქციების განსაზღვრით. ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრა კი ზოგადად გეოგრა-ფიის, კერძოდ კი გეოეკოლოგიის, გამოყენებითი ლანდშაფტმცოდნეობის, ლანდშაფტური დაგეგმარების საკვანძო საკითხია.

მეორე მხრივ, უკანასკნელ ხანს ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში სწრაფად ვითარდება კულტურული ლანდშაფტების - სხვადასხვა რანგის კულტურულ-ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსების შესწავლა არა მარტო მატერიალური, არამედ მათი სულიერი ღირებულებების თვალსაზრისით. ლანდშაფტმცოდნეობაში სინამდვილის უმნიშვნელოვანესი სულიერი ათვისე-ბა-ესთეტიკური აღქმა, ხშირად იწოდება ლანდშაფტების პერცეფციად (ლათინურად perceptio – წარმოდგენა, აღქმა) და საერთოდ აღიარებულია, როგორც – ,,ლანდშაფტის მეხუთე განზომილე-ბა'' (ნ. ბერუჩაშვილი). ლანდშაფტების პერცეფციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მიმართუ-ლებები ლანდშაფტების ესთეტიკა, ლანდშაფტების დიზაინი და პროექტირება, ლანდშაფტების არქიტექტურა.

როგორც აღვნიშნეთ, ერთის მხრივ, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარების უმთავრესი მიზანი ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრაა. მეორეს მხრივ, კი სწორედ, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარებისა და ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრის შემდეგ იწყება მნიშვნელოვანი სამუშაოები. ეს სამუშაოები, გულისხმობს სხვადასხვა რანგის კულტურული ლანდშაფტების, როგორც მეტი მატერიალური დოვლათის (ღირებულებების) მოცემის თვალსაზრისით მოწყობას, ასევე, მათ მოწყობას ესთეტიკის-სილამაზის თვალსაზრისით.

თანამედროვე საუნივერსიტეტო გეოგრაფიულ ლიტერატურაში ,,ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,ანტროპოგენული ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,გეოეკოლოგიის'' და სხვ. კურსებში პრობლემები, რომლებიც ეხება ლანდშაფტურ ესთეტიკას, ლანდშაფტურ დიზაინს და ლანდშაფტურ არქიტექტურას, როგორც წესი არ განიხილება. ითვლება, რომ ისინი მოიაზრებიან სხვა მეცნიერებათა ან კიდევ ხელოვნების სფეროში. ამიტომ უნდა იყვნენ არქიტექტორების, დიზაინერების, მხატვრების, და არა გეოგრაფების გამგებლობაში.

ვფიქრობთ, ლანდშაფტური ესთეტიკის, დიზაინის, პროექტირების, ლანდშაფტური არქიტექტურის, ასევე პერცეფციის კანონების ღრმა გაცნობიერების გარეშე ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ყოველმხრივი შესწავლა, მით უმეტეს კულტურული

ლანდშაფტების სრულყოფილი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოხსენებაში განიხილება, ლანდშაფტების ესთეტიკა, დიზაინი და პროექტირება, როგორც ლანდშაფტების არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილები და მთი სწავლების ზოგიეთი საკითხი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარებასთან ერთად გეოგრაფიისა და ეკოლოგიის სპეციალობებზე.